საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 113/ს
09/03/2023

113-21-4-202303091318

ხონის მუნიციპალიტეტში, ძეძილეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიზე 5,188 ჰა ფართობზე, 379 090 მ^3 კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეძილეთის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე, 5,188 ჰა ფართობზე, 379 090 მ^3 კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, ძეძილეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიზე, ზღვის დონიდან 570-619 მეტრის სიმაღლეზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის GPS კოორდინატებია: X – 301520, Y – 4700982; X – 301424, Y – 4701049; X – 301598, Y – 4701333; X - 301747, Y – 4701264; X – 301687, Y – 4701189; X – 301656, Y – 4701098; X – 301566, Y – 4701034. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფ. გელავერი მდებარეობს დაახლოებით 860 მეტრის დაშორებით. სალიცენზიო ობიექტის ნაწილი მდებარეობს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყეში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მდებარეობს იმერეთის მთისწინა გორაკ-ბორცვიან ზონაში, რომელიც მოიცავს მდ. ცხენისწყლის მარცხენა უსახელო გორაკის დასავლური ექსპოზიციის მქონე ფერდობის შუა ნაწილს, რომლის დახრილობა ობიექტის ფარგლებში და მის მიმდებარედ არათანაბარია და საშუალოდ 10-20°-ის ინტერვალში მერყეობს. სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია დაფარულია მცენარეული საფარით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები ხელსაყრელია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია

მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. გეოლოგიური თვალსაზრისით რაიონი აგებულია ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ნალექებით. საბადოს ტერიტორია აგებულია ქვედა ცარცული (ბარემული) ასაკის კირქვებით, რომლებიც გადაფარულია დელუვიონებით და ნიადაგის საფარით. ქანი ღია ნაცრისფერია, მასიური, წვრილმარცვლოვანი და სქელშრეებრივი. ცალკეულ შრეთა სიმძლავრე 0.4 მეტრიდან 2 მეტრამდე იცვლება. პროდუქტიული ფენის ზედა ნაწილი გამოფიტული და დანაპრალიანებულია. მადნიანი სხეულის გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით. მადნიანი სხეულის სიმძლავრე პროდუქტიული ფენის 11 მეტრიდან 19 მეტრამდე იცვლება. სალიცენზიო ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა სტაბილურია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, წიაღისეულის საბადო შესწავლილია დეტალურად, მისი მარაგები გამოთვლილია ვერტიკალური პარალელური ჭრილების მეთოდით. საძიებო სამუშაოების ფარგლებში, საბადოებზე გაყვანილია თხრილები, შურფები, ჭაბურღილები და საცდელი კარიერი. აღებულია რიგითი და ტექნოლოგიური სინჯები. ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევების მიხედვით, კირქვა ნაცრისფერია, მასიური სქელშრეობრივი. მადნიანი სხეულის ფართობი შეადგენს 51 880 $მ^2$-ს. წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები, მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C1+C_2 და P), წარმოდგენილია B და C_1 კატეგორიებით, რომელთა საერთო მარაგი შეადგენს 379 090 $მ^3$-ს. თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები ობიექტზე არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს.

„სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ნაწილი, 27 137 $მ^2$ ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. კერძოდ, ხონი-წყალტუბოს სატყეო უბნის ძეძილეთის სატყეოს, კვარტალი N16, ლიტერი N3,5 და ყოფილ საკ. ტყეში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა, ან მისი განკარგვა, საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური და ვიბრაცია, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება. კირქვის საბადოს ღია კარიერული წესით დამუშავებისას მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მავნე ნივთიერებების, კერძოდ, არაორგანული მტვრის გაფრქვევა. ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელებას ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ასევე ნედლეულის ტრანსპორტირებისას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს, ადგილი ექნება

ხმაურის წარმოქმნას და გავრცელებას, (მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია, სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას), ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესებას, რამაც შესაძლებელია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

დოკუმენტში არ არის მოცემული სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვების შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკების და საფრთხეების შესახებ ინფორმაცია, ასევე არ არის აღწერილი ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხები. სკრინინგის განცხადებაში არ არის შეფასებული გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება არ მოიცავს ინფორმაციას აღნიშნული საქმიანობის შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე და საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლასა და შეფასებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეძილეთის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე, 5,188 ჰა ფართობზე, 379 090 მ^3 კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვება, საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული) გათვალისწინებით, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეძილეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 5.188 ჰა ფართობზე, 379 090 მ^3 კირქვის ღია კარიერული წესით მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო